სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

30 / დეკემბერი / 2024 წ.

№ **17/4861**

KA990157462281524

სსიპ - სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტოს გაყიდვების
მხარდაჭერის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს,
ქალბატო სოფიო ჭელიძეს

ქალბატონო სოფიო,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის N00045841 კორესპონდენციით გამოგზავნილი თქვენი 2024 წლის 26 დეკემბრის N6/73828 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე N60-ის მიმდებარედ არსებული 287 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.365.012) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 01.72.14.365.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

აღსანიშნავია, რომ საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთი მდებარეობს არქეოლოგიურად აქტიურ ზონაში, ამიტომ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მომავალში მიწის სამუშაოების დაგეგმვის შემთხვევაში, სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს არქეოლოგიის ზედამხედველობით, შესაბამისი ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი